



მერაბ

გაბინაშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს უვადო მოსამართლე

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

2

1995-2005 წლებში, კანდიდატი მერაბ გაბინაშვილი, მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა პოზიციაზე.

პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

4

2005-2006 წლებში, იგი იყო ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელი.

დანიშნულებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული პილდოები / სტიპენდიები

5

2006-2012 წლებში, კანდიდატი მერაბ გაბინაშვილი, სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა სხვადასხვა სასამართლოში, მათ შორის, გორისა და ზესტაფონის რაიონულ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

6

2012-2017 წლებში, იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე და კოლეგიის თავმჯდომარე.

კანდიდატის საპრო აქტივობები / პოზიციები და ქცევა

8

2017 წელს, მოსამართლე გაბინაშვილი, უვადოდ გამწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ და დაინიშნა ამავე პალატის თავმჯდომარედ.

კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

12

2019 წლიდან, იგი არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარე. 2013-2017 წლებში, მერაბ გაბინაშვილი, ასევე იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.



ლია
საზოგადოების
ფინელი

1

კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. გადაწყვეტილებები, განსხვავებული აზრი, სასამართლო წარდგინებები

1.1. სამართლებრივად საინტერესო ან პრეცედენტული გადაწყვეტილებები

სამართლებრივი საკითხი: 2019 წლის 2 ივლისს, მოსამართლე მერაბ გაბინაშვილმა სააპელაციო წესით განიხილა დავა, რომელიც საქართველოს პარლამენტის დეპუტატის ნიკანორ მელიასთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას ეხებოდა.

ფაქტები: 2019 წლის 27 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, საქართველოს პარლამენტის დეპუტატს აღკვეთის სახით გირაო და დამატებითი ღონისძიებები შეუფარდა. გადაწყვეტილება დაცვის მხარის მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრდა, სადაც მხარე მიუთითებდა, რომ გამოყენებული დამატებითი ღონისძიებები (საცხოვრებელი სახლის დატოვების აკრძალვა საგამოძიებო ორგანოების ინფორმირების გარეშე და სამომავლოდ შესაძლო მოწმის სტატუსის მქონე პირებთან ნებისმიერი სახის კომუნიკაციის აკრძალვა) პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიოდა კონსტიტუციით გარანტირებულ, საქართველოს პარლამენტის დეპუტატის უფლებამოსილებებთან.

საქმის მნიშვნელობა: აღნიშნულ საქმეში, საქართველოს სასამართლო ხელისუფლებამ, პირველად იმსჯელა საქართველოს პარლამენტის დეპუტატისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოყენებული დამატებითი ღონისძიებები პირდაპირ წარმოშობდა სააპელაციო სასამართლოს ვალდებულებას, დეტალურად ემსჯელა თითოეული ღონისძიების დასაბუთებულობისა და კონსტიტუციურ სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე.

გადაწყვეტილება:

- განჩინებაში არ იკვეთება, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა ბრალდებულის მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედება (განჩინება უთითებს მხოლოდ ბრალდების დადგენილებაზე). მეტიც - არ ჩანს, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია სასამართლომ, რომ არსებობდა ნიკანორ მელიას მიერ ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი.

შენიშვნა: აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, სასამართლო ვალდებულია დარწმუნდეს, რომ: ა) საქმეში არსებული მასალები მიუთითებს სისხლისსამართლებრივი დევნის დასაბუთებულობაზე; ბ) დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, საქმეში არსებობს ბრალდებულის მიმალვის, მის მიერ მტკიცებულებების განადგურების ან/და ახალი დანაშაულის ჩადენის რეალური ალბათობა/საფრთხე და, შესაბამისად, აუცილებელია, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.¹

- სასამართლო, პატიმრობის გამოყენებაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას, ასაბუთებს ისეთ ფაქტორებზე მითითებით, როგორცაა „პირის პიროვნება, წარსული, ის გარემოება, რომ პირს აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.“ თუმცა, გადაწყვეტილებაში არ არის გაშლილი მსჯელობა, თითოეულ ამ ფაქტორთან და ბრალდების მხარის მიერ მითითებულ რისკებთან დაკავშირებით.
- სასამართლო განმარტავს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი გარემოებები, რომლითაც იგი ასაბუთებს პატიმრობის გამოყენების მიზანშეწონილობას, არა ცალ-ცალკე, არამედ კუმულატიურად უნდა შეფასდეს.
- დაცვის მხარის მთავარ არგუმენტს წარმოადგენდა გამოყენებული ღონისძიებების კონსტიტუციასთან შეუთავსებლობა. თუმცა, სასამართლომ თავი აარიდა ამ საკითხზე მსჯელობას და კანონის არასწორი განმარტების საფუძველზე მიუთითა, რომ „ნიკანორ მელიას მიმართ დაკისრებული და დამატებით გამოყენებული ვალდებულებები არ წარმოადგენს ალკვეთის ღონისძიების სახეს და მათი ალკვეთის ღონისძიებისგან განყენებულად გასაჩივრებას [...] კოდექსი არ ითვალისწინებს“.

შენიშვნა: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ორი სახის ალკვეთის ღონისძიებას: ძირითადს (მაგ. გირაო) და დამატებითს (მაგ. საცხოვრებელი სახლის დატოვების აკრძალვა საგამოძიებო ორგანოების ინფორმირების გარეშე).² კოდექსი, დამატებითი ღონისძიების გასაჩივრებისთვის, არ ითვალისწინებს ძირითადი ღონისძიების გასაჩივრებისგან განსხვავებულ წესს. სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო კანონმდებლობის ამგვარი განმარტების შედეგად, პირს წაერთვა კონსტიტუციური უფლება, მიემართა სასამართლოსთვის საკუთარი უფლებების შეზღუდვის კანონიერებასთან დაკავშირებით.

განსხვავებული პრაქტიკა

2015 წელს განხილულ საქმეში, მოსამართლის პოზიცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ნიკანორ მელიასათვის ალკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილებისაგან, რომელშიც მოსამართლემ განმარტა, რომ საქმეში არსებული გარემოებები კუმულატიურად უნდა შეფასდეს: „მოსალოდნელი საფრთხეებთან დაკავშირებით არსებული რისკები არ არის მაღალი, რის შესახებაც დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს იძლევა ბრალდებულის პიროვნება, მისი წარსული, ის გარემოება, რომ მას გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი სახლი... რაც შეეხება ბრალდების მხარის მითითებას ქმედების ხასიათსა თუ საჩივარში აღნიშნულ სხვა გარემოებებზე, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ ხსენებული გარემოებები ცალცალკე არ არის გადამწყვეტი ფაქტორი და არ არის ბრალდებულის მიმართ აუცილებლად ყველაზე მკაცრი სახის ღონისძიების გამოყენების საფუძველი“.

სამართლებრივი საკითხი: 2018 წლის 14 მაისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, მოსამართლე გაბინაშვილის თავმჯდომარეობით, მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე, რომელიც ეხებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას.

¹ ალექსანდ მაკაროვი რუსეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2009 წ. (№ 15217/07), პარ. 120; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2015, (№ 3/2/646), პარ. 65.

² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2015.

ფაქტები: მოსარჩელე (აპელანტი) გათავისუფლებული იქნა სამსახურიდან იმ საფუძვლით, რომ მან უხეშად დაარღვია შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები. კერძოდ, დასაცავ საფუძვალზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ეძინა. დამსაქმებელი უთითებდა, რომ შეიქმნა დაწესებულებისთვის ქონებრივი ზიანის წარმოშობის საშიშროება.

მოსარჩელემ, სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რადგან დამსაქმებელს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო. მოსარჩელე ითხოვდა გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას. კოლეგიამ, განსჯადობაზე მითითებით, საქმე განსახილველად გადაუგზავნა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში. პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეცვალა და სააპელაციო საჩივარი სრულად დააკმაყოფილა.

საქმის მნიშვნელობა: საქმე მნიშვნელოვანია, რადგან ეხება სასამართლოს საგნობრივი განსჯადობის სწორად გადაწყვეტას, ასევე შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლის კანონიერებას და მტკიცების ტვირთის განაწილებას შრომით დავებში.³

გადაწყვეტილება:

- მოსარჩელე სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, რომ საქმე განსჯადობით ეკუთვნოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავათა კატეგორიას. თუმცა, პალატამ დავა სამოქალაქო საქმეთა კატეგორიას მიაკუთვნა და განმარტა: „**განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა დამსაქმებლის ფუნქციებს, არამედ მოსარჩელის (აპელანტისა) და ორგანოს შორის არსებული შრომითი ურთიერთობის შინაარსს**“.
- სააპელაციო სასამართლო მსჯელობს შრომის უფლების შინაარსზე საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებზე დაყრდნობით. დამატებით, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტასთან მიმართებით, პალატა უთითებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული კონვენციით დადგენილ ე.წ. გონივრული საფუძვლის პრინციპზე.⁴
- სასამართლო მნიშვნელოვან განმარტებას აკეთებს პირის სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, დათხოვნის საფუძვლის მნიშვნელობაზე. Ultra Ratio-ს პრინციპზე მითითებით, სასამართლო ადგენს, რომ დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების ადეკვატურ, საჭირო და პროპორციულ ღონისძიებად მიჩნევისთვის, აუცილებელია, სახეზე იყოს ისეთი მძიმე დარღვევა, რომელიც სხვა უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენებას არამიზანშეწონილს ხდის. ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შემდეგ, პალატამ დაადგინა, რომ აპელანტის მხრიდან ადგილი არ ჰქონია უხეშ დარღვევას.
- მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის განაწილების შესახებ მსჯელობისას, სასამართლო დაეყრდნო საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას⁵ და მიუთითა მისი სპეციალური სტანდარტით განაწილებაზე, რომლის თანახმად, სწორედ დამსაქმებელია ვალდებული, ადასტუროს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერი და საკმარისი საფუძვლის არსებობა. ამით, მოწინააღმდეგე მხარეს დაეკისრა ვალდებულება ემტკიცებინა, გააცნო თუ არა მან დასაქმებულს სრულყოფილად ინფორმაცია სამუშაო საათებთან დაკავშირებით, რაც სასამართლოს მითითებით, დამსაქმებელმა ვერ შეძლო.

³ აღნიშნული გადაწყვეტილება თავად კანდიდატმა მიაწოდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს
⁴ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 1982 წელს მიღებული N158 კონვენცია „შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ“ მე-4 მუხლის თანახმად, დაუშვებელია დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, თუ არ არსებობს ასეთი შეწყვეტის კანონიერი მიზეზი, დაკავშირებული დასაქმებულის უნართან ან ქცევასთან, ან რომელიც ეფუძნება საწარმოს, დაწესებულების ან სამსახურის საოპერაციო მოთხოვნებს.
⁵ 2015 წლის 07 ოქტომბრის განჩინება საქმეზე Nას-483-457-2015.

1.2. უზენაესი / საკონსტიტუციო და საერთაშორისო / რეგიონალური სასამართლოების პრაქტიკის გამოყენება



მოსამართლეს განხილული აქვს არაერთი საქმე, რომელიც ეხება ალკვეთის ღონისძიების გამოყენებას. გადაწყვეტილებები გარკვეულწილად ეფუძნება საკონსტიტუციო და საერთაშორისო/რეგიონალური სასამართლოების და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილ სტანდარტებს, თუმცა მოსამართლე იშვიათად ციტირებს კონკრეტულ საქმეებს.

ალკვეთის ღონისძიებების განხილვის დროს, მოსამართლე არ ციტირებს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების შესაბამის პრაქტიკას, თუმცა ვხვდებით ევროსასამართლოს პრაქტიკის ციტირებას.⁶ ერთ-ერთ საქმეზე, მოსამართლე ასევე ციტირებს ევროსაბჭოს რეკომენდაციას.⁷ ერთ-ერთ შრომით დავაში, მოსამართლე მართებულად იყენებს როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს.⁸

1.3. ზოგადი სტაბილიზაცია

მოსამართლის შაბლონური მსჯელობა, სტანდარტებზე მითითება, თუმცა მხოლოდ ილუმორულად – ვინაიდან ამან გავლენა ვერ იქონია გადაწყვეტილების შინაარსზე;

სამართლებრივი საკითხი: 2015 წელს, მოსამართლე გაბინაშვილმა სააპელაციო წესით განიხილა ბრალდების მხარის საჩივარი უფრო ძძიმე ალკვეთის ღონისძიების (პატიმრობის) გამოყენების თაობაზე.

ფაქტები: საქმეში ფიგურირებდა ორი ბრალდებული. პირველი ინსტანციის სასამართლომ, ალკვეთის ღონისძიების სახით ორივე მათგანს შეუფარდა სხვადასხვა ოდენობის გირაო. ბრალდების მხარემ, აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და ითხოვდა, ერთ-ერთი ბრალდებულისთვის (რომელსაც პირველმა ინსტანციამ 15 000 ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა) პატიმრობის შეფარდებას. ამ უკანასკნელმა, გაიზიარა ბრალდების მხარის საჩივარი და ბრალდებულის მიმართ გამოყენებული გირაო პატიმრობით შეცვალა.

საქმის მნიშვნელობა: სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ, შეცვალა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და გამოიყენა ყველაზე ძძიმე ალკვეთის ღონისძიება. ასეთ შემთხვევებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილება მაღალი სტანდარტით დასაბუთდეს.⁹

⁶ იხ. მაგ. 2019 წლის თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება (N1გ/1044-19), სადაც მოსამართლე უთითებს საქმეს შემდეგნაირად: Case “Aleksandr Makarov v. Russia”.

⁷ 2019 წლის თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინებაში (N1გ/1044-19) ციტირებულია ევროსაბჭოს 1980 წლის რეკომენდაცია No. R (80) 11.

⁸ 2018 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებაში საქმეზე N2ბ/2208-18 მოსამართლე შრომის უფლების განმარტებისას იყენებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს N2/2-389, 26.10.2007 და N2/4-24, 28.02.1997, ხოლო მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სპეციალურ სტანდარტზე მითითებისას საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებას საქმეზე Nას-483-457-2015, 07.10.2015.

⁹ აღნიშნული გადაწყვეტილება თავად კანდიდატმა მიაწოდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

გადაწყვეტილება:

- განჩინებიდან ნათლად არ ჩანს, კონკრეტულად რაში გამოიხატა კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, რომელსაც ედავებიან ბრალდებულებს – მხოლოდ მითითებაა ბრალის დადგენილებაზე და კოდექსის შესაბამის მუხლზე.
- მოსამართლე მშრალად და შაბლონურად მიუთითებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოკვლეული მტკიცებულებები საკმარისია აღკვეთის ღონისძიების გამოსაყენებლად. მოსამართლე არ მიუთითებს, კონკრეტულად რა მტკიცებულებები არსებობდა შესაბამისი მტკიცების დასადასტურებლად.
- მოსამართლე მიუთითებს, რომ „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საპროცესო და ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს, თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას“. აღნიშნული ფრაზა არის ფართოდ გავრცელებული შაბლონი, რომელსაც ხშირად ვხვდებით როგორც მოსამართლე გაბინაშვილის, ასევე სხვა მოსამართლეების მიერ აღკვეთის ღონისძიების შესახებ გამოტანილ განჩინებებში.
- პატიმრობის, როგორც ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების საგამონაკლისო წესით გამოყენების საკითხი, თეორიულად სწორად არის ჩამოყალიბებული, მაგრამ მოსამართლე არ უსადაგებს ამ სტანდარტს საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს. შესაბამისად, სტანდარტებზე აპელირება მხოლოდ ილუმორულ ხასიათს ატარებს და საქმის შედეგზე რეალურ გავლენას ვერ ახდენს. განჩინებაში ვკითხულობთ, რომ „შესაძლებელია ბრალდებულის შეეცადოს დანაშაულის ჩადენაში მამხილებელ მტკიცებულებებზე ზემოქმედებას ან გაანადგუროს მომავალში მოსაპოვებელი მტკიცებულებები“. მოსამართლე მიუთითებს არა კონკრეტულ გარემოებაზე ან ფაქტზე, არამედ მხოლოდ აბსტრაქტულ შესაძლებლობაზე, რომ პირი შეეცდება ხელი შეუშალოს გამოძიებას, რასაც ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებისათვის საკმარის საფუძვლად მიიჩნევს.

შენიშვნა: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-18 მუხლით დაცულ თავისუფლების უფლებას (კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) ეწინააღმდეგება პატიმრობის შეფარდებისას, სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის იმ ფაქტების ან ინფორმაციისა და გარემოებების მხედველობაში მიღება, რომელიც ბრალდებულის მიმალვის, მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის ან მტკიცებულებების განადგურების (მოწმეებზე ზემოქმედების) ჰიპოთეტურ საფრთხე(ებ)ზე მიუთითებენ, როდესაც ბრალდებულის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების თეორიული შესაძლებლობა და არა რეალური საფრთხე არსებობს.¹⁰ ანალოგიურია ამ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებაც.¹¹

¹⁰ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2015, (№3/2/646), პარ. 71.

¹¹ The right to liberty and security of the person: A guide to the implementation of Article 5 of the European Convention on Human Rights (2002), pp. 22-34

2.

პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- კანდიდატის მიმართ დისციპლინური სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა.

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- მოსამართლე გაბინაშვილის მიმართ არ ფიქსირდება ეთიკის ნორმების დარღვევა.

3. საქმიანობა იუსტიციის უმაღლეს სააპელაციო

- 2013-2017 წლებში, მოსამართლე მერაბ გაბინაშვილი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. ამავე პერიოდში, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი საბჭომ თანამდებობიდან გაათავისუფლა.¹
- ასევე, მოსამართლე გაბინაშვილის საბჭოში მოღვაწეობის პერიოდს ემთხვევა მოსამართლეთა საგამოცდო ტესტების გამჟღავნების საქმე.²
- 2016 წელს, ცნობილი გახდა, რომ მოსამართლე ნათია გუჯაბიძის საცხოვრებელი ბინის ქირა, წლების განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან იფარებოდა იმ პირობებში, როდესაც მოსამართლე ბინას საკუთარი დედისგან ქირაობდა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადების მიხედვით, ინფორმაცია სახელმწიფო თანხების გაფლანგვის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება.³ არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ ამ საკითხზე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უნდა დაეწყო დისციპლინური სამართალწარმოება, ხოლო პროკურატურას – გამოძიება.⁴ საზოგადოებისთვის უცნობია, მოჰყვა თუ არა რეაგირება ამ ფაქტს.
- კანდიდატ მერაბ გაბინაშვილის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის პერიოდში, აქტიურად გამოიყენებოდა მოსამართლეთა უკონკურსოდ გადაყვანისა და დაწინაურების მექანიზმი. ამ პერიოდში, 7 მოსამართლე უკონკურსოდ დაწინაურდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.⁵
- მოსამართლე გაბინაშვილის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის პერიოდში, საბჭომ მხარი დაუჭირა ლევან მურუსიძის (3 წლის ვადით) და მიხეილ ჩინჩალაძის (უვადოდ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებად გამწესებას, ასევე, მიხეილ ჩინჩალაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნას.

¹ მამუკა ახვლედიანის განცხადებით, საბჭოს ქმედებას საფუძვლად უდევს მისი მხრიდან სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებზე საჯაროდ საუბარი, მოვლენების ქრონოლოგია პირველი განცხადებიდან მის გათავისუფლებამდე ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2ST69iw>.

² აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭო აწარმოებდა მოკვლევას; საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ანგარიში „სასამართლო სისტემის მდგომარეობა 2012-2016“, გვ. 16, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2JYEcD7>.

³ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2ZjPib7>.

⁴ საია მოსამართლე ნათია გუჯაბიძის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას ეხმიანება, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2YjwfRN>.

⁵ ცნობილია დაწინაურებულ მოსამართლეთა ვინაობა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/314i6oo>.

3.

დანიშნულებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- მოსამართლე გაბინაშვილი შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტსა და ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში 11-წლიანი (1995-2006 წწ.) მუშაობის შემდეგ, გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნა.
- 2006-2012 წლებში, მოსამართლე მერაბ გაბინაშვილი სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს გორის რაიონულ, ქუთაისის საქალაქო, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოებში, ხოლო 2012 წლიდან, იგი ინიშნება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლედ და ამავე კოლეგიის თავმჯდომარედ.
- საბჭოს წევრის უფლებამოსილების გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე, კანდიდატი გაბინაშვილი გამწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს **სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ** და ამავე პალატის თავმჯდომარედ. მოსამართლე გაბინაშვილს საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული აქვს 2005 წელს **სისხლის სამართლის მიმართულებით** და მისი კარიერა სრულად ამ მიმართულებით მუშაობას მოიცავს. თუმცა, საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი მერაბ გაბინაშვილისთვის სპეციალიზაციის შეცვლისა და სამოქალაქო საქმეთა პალატაში თავმჯდომარედ გამწესების გადაწყვეტილებას.¹ 2019 წლის მაისიდან, მოსამართლე გაბინაშვილი კვლავ საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარედ დაინიშნა.

2. მიღებული ჯილდო/სტიპენდია

- კანდიდატ მერაბ გაბინაშვილს არ აქვს მიღებული ჯილდო/სტიპენდია.

¹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში #6, გვ. 57, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2T3Y36Q>.

4.

კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი კასუსის მკვებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- მოსამართლე მერაბ გაბინაშვილი არ ყოფილა ნასამართლევი.
- ფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევები საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო.
- კანდიდატი გაბინაშვილი სასამართლო დავებში არ მონაწილეობდა მხარედ.

2. პარტიული მიკუთვნებულობა, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი კოლიტიკოსებთან/გავლენიან ადამიანებთან

- კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.
- მოსამართლე გაბინაშვილს, სასამართლოში არსებული მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის (კლანის) ერთ-ერთ წევრად მოიაზრებს კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისტების“¹
- 2018 წლის დეკემბერში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, ყოველგვარი ფორმალური პროცედურების გვერდის ავლით, პარლამენტს წარუდგინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 10 კანდიდატი, რომელთა შორის მერაბ გაბინაშვილიც იყო.²

¹ კოალიციის მიმართვა საქართველოს პარლამენტს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Jc8ow5>.

² სამართლის 10 მაფიოზი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2OC5a7M>.

5.

კანდიდატის საჯარო აქტივობები / კოზიციები და ქცევა

1. მოსამართლე მერაბ გაბინაშვილის მიერ სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

- მოსამართლე გაბინაშვილი არ იყენებს სოციალურ ქსელებს. მას არ აქვს როგორც პერსონალური პროფილი, ისე ოფიციალურ თანამდებობასთან დაკავშირებული გვერდი.

2. მოსამართლე მერაბ გაბინაშვილის საჯარო განცხადებები სასამართლო სისტემაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით

2.1. მოსამართლე მერაბ გაბინაშვილის მოსაზრება ლევან მურუსიძისა და სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების კრიტიკასთან დაკავშირებით

2015 წლის 27 დეკემბერს, მოსამართლე მერაბ გაბინაშვილმა განაცხადა:

”

„ვერ გეტყვით, რატომ შეიკრიბა ამდენი ადამიანი ლევან მურუსიძის წინააღმდეგ, მაგრამ გეტყვით, რომ ამდენი ადამიანის შეკრება მოსამართლის წინააღმდეგ ეს არის უპრეცედენტოდ გამოსატული ყოველგვარ ზღვარგარღვეული ლანძღვა სასამართლო ხელისუფლების მიმართ, იმიტომ რომ, ნებისმიერი მოსამართლის გალანძღვა ეს არის სასამართლო ხელისუფლების ლანძღვა“!

ამავე განცხადებაში, დამატებით მითითებულია:

¹ „მერაბ გაბინაშვილი: მურუსიძეს დღესაც აქვს ნდობის ლეგიტიმური მანდატი“, 2015 წლის 27 დეკემბერი, ხელმისაწვდომია – <https://ipress.ge/new/merab-gabinashvili-levan/>.



საზოგადოებას სჭირდება კონსტიტუციით გარანტირებული ორგანო, რომელსაც აქვს დამოუკიდებლობის ძალიან მაღალი ხარისხი და, აი, ამ ძალიან მაღალი ხარისხით ის იღებს გადაწყვეტილებებს“.

მერაბ გაბინაშვილის თქმით, მოსამართლეთა კონფერენციამ აირჩია ლევან მურუსიძე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად, ზუსტად ამ ლეგიტიმაციით. ამასთანავე,



ლევან მურუსიძეს დღესაც აქვს ის ნდობის მანდატი და მოსამართლეთა მოთხოვნა სრულიად ლეგიტიმურია, რომ ასეთმა ადამიანმა გააგრძელოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მდივნის პოზიციაზე მუშაობა“²

მერაბ გაბინაშვილმა, მოსამართლეთა XV კონფერენციაზე, ვრცლად დააფიქსირა საკუთარი პოზიცია ლევან მურუსიძესთან დაკავშირებით. კერძოდ, მან განაცხადა:



ლევან მურუსიძის შემთხვევა რომ ავიღოთ – მე არავისი ადვოკატი არ ვარ, მაგრამ ამ ადამიანს უნევს იმის მტკიცება, რომ მან მიიღო კანონიერი გადაწყვეტილება. იგი ნორმატიულ საფუძველზე მოქმედებდა და იგივე კანონები მოქმედებს დღეს. ჩვენ ვდგებით თავის მართლების რეჟიმში, მაგრამ ვალდებულები ვართ ეს ვაკეთოთ, იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ისეთი ორგანიზაციებისგანაც კი, რომლებიც არამართო უნდა გვაკრიტიკებდნენ, არამედ რეკომენდაციებსაც უნდა გვაძლევდნენ, მხოლოდ კრიტიკა მოდის. მათი მოვალეობა არაა ორმაგი სტანდარტებით იმუშაონ. როცა რამე შეგვეშლება, უნდა მიგვითითონ.

მე დღემდე ვერ გავიგე „საია“-ს თავმჯდომარის განცხადება, რომელმაც თქვა, რომ ბატონი ლევანი არის ადამიანი, რომელმაც შეასრულა კანონის მოთხოვნა [...] დიახაც შეასრულა და მეც შევასრულებ. არ შეასრულებს და დადგება დისციპლინური კოლეგიის წინაშე. კანონის უგულებელყოფა არ ისჯება? აბა რა ვქნათ, საკუთარი კანონები ვწეროთ?! ჩვენ არ გვაქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. კანონი უნდა შესრულდეს. „ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე გამოდის და პირდაპირ პერეზიდენტს მოუწოდებს და პოლიტიკური თანამდებობის პირებს, რომ ჩაერთონ პროცესებში, რატომ უნდა ჩაერთონ, რომ ზეგავლენა მოახდინონ? არ არის ეს სწორი. არანაირად არ არის სწორი. აქ საუბარი იყო კრიტერიუმებზე. ძალიან კარგად იცის, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სრულყო კრიტერიუმები, რომლითაც მოსამართლედ დანიშნა ხდება. დამისახელონ კრიტერიუმი, რომელსაც არ აკმაყოფილებს ლევან მურუსიძე. მე ვიცი რასაც იტყვიან, იტყვიან, რომ მათ განხილული აქვს ესა და ეს საქმე და საზოგადოებაში არსებობს აზრი, რომ ამის გამო არ იმსახურებს მოსამართლეობას და რომ სტრასბურგმა თქვა, რომ დარღვევები დაადგინა. სად გინახავთ, რომ ვინმემ თქვას რომ სტრასბურგის მიერ მიღებული საწინააღმდეგო გადაწყვეტილების შემთხვევაში, მოსამართლე საერთოდ გაუშვით სამსახურიდანო. მე დანინაურების შემთხვევებიც ვიცი. ეს არის გაუგონარი ზენოლა ჩვენზე, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებზე და ყველა მოსამართლეზე. მოხდება ისე, რომ გახმაურებული საქმე როცა შემოვა, არცერთი მოსამართლე აღარ მოკიდებს ხელს, იმიტომ, რომ ის განწირულია სამოსამართლეო ვადის ან შეფასების პროცესში ვიღაც დაუმახინჯებს აზრს მოსახლეობას და ეგ არის. ეს არის არასწორი და მე ამას არ გავაკეთებ. მოვწოდებ ყველა ჩემს კოლეგას, პრაგმატულად, ზუსტად კანონზე დაყრდნობით, მივიღოთ სწორი, სამართლებრივად და მორალურადაც სწორი გადაწყვეტილება, არ მოვექცეთ საზოგადოებრივი ზეგავლენის ქვეშ. ეს ის პრეცედენტი იქნება, რომელიც ყველა მოსამართლეს შიშის ქვეშ ამყოფებს. პირიქით, მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ მოტივაცია, განიხილონ გახმაურებული საქმეები და დაამტკიცონ, რომ ისინი არიან დამოუკიდებლები და რომ მხოლოდ კანონის იმედად არიან“.

² „მერაბ გაბინაშვილი: მურუსიძეს დღესაც აქვს ნდობის ლეგიტიმური მანდატი“, 2015 წლის 27 დეკემბერი, ხელმისაწვდომია – <https://ipress.ge/new/merab-gabinashvili-levan/>.

2.2. მოსამართლე მერაბ გაბინაშვილის განცხადება უზენაეს სასამართლოში გასამხმესებელ ე.წ. 10-კაციან სიასთან დაკავშირებით

5

მერაბ გაბინაშვილი, უზენაეს სასამართლოში გასამწესებელი მოსამართლეების ე.წ. 10-კაციანი სიის ერთ-ერთი კანდიდატი იყო, რომელიც 2018 წლის 26 დეკემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა გაასაჯაროვა. მან, შემდგომში განვითარებული მოვლენების გამო, სხვა კანდიდატებთან ერთად, მოხსნა თავისი კანდიდატურა.

მოსამართლე გაბინაშვილმა მოვლენები ამგვარად შეაფასა:



ეს პროცესი მაშინვე მოექცა ძალიან არაჯანსაღი აჟიოტაჟის ქვეშ. ხდებოდა ამ პროცესის ხელოვნური დისკრედიტაციის მცდელობა ისეთი პოლიტიკური ჯგუფების თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რომელთა ინტერესში, მე ვფიქრობ, ალბათ, არ შედის სასამართლოს გაჯანსაღება, გაძლიერება და მისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების სწრაფად და ეფექტურად მიღება. კრიტიკაც და მკაცრი რეკომენდაციებიც, რა თქმა უნდა, მისაღებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის არის დასაბუთებული, მასში არის რაციონალური მარცვალი. ის, რაც ხდებოდა ამ პროცესის დაწყებისთანავე, რაც გადაიზარდა პიროვნულ შეურაცხყოფებში, კანდიდატების დისკრედიტაციაში, რომლებიც ამ წარდგენილ ჯგუფში იყვნენ, ამის შეფუთვა საჯარო ინტერესით და „ასეთი კრიტიკა“ და ამის შეფუთვა გამოხატვის თავისუფლებით ძალიან ძნელია“³

3. მოსამართლე გაბინაშვილის კოზიცი აკლესიის მხრიდან მასზე შესაძლო გავლენის მოხდენასთან დაკავშირებით

2015 წლის ერთ-ერთ ინტერვიუში, ჟურნალისტის შეკითხვაზე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ მის კანდიდატურას უჭერს თუ არა მხარს საპარლამენტო უმრავლესობა და საპატრიარქო და რამდენად ჰქონდა მათთან კონსულტაციები, მერაბ გაბინაშვილმა აღნიშნა, რომ მათთან არანაირი კონსულტაცია არ ჰქონია.⁴

რაც შეეხება ჟურნალისტის შეკითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად იქნება იგი თუნდაც საპატრიარქოს გავლენისაგან თავისუფალი უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შემთხვევაში, მოსამართლე გაბინაშვილმა აღნიშნა:

მე ვთქვი, რომ საზოგადოების აზრს მოსამართლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს-მეთქი. ეკლესიის გავლენას რაც შეეხება, თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, ეკლესიის გავლენა რაღაც კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით? მე ვარ ქრისტიანი, აქედან გამომდინარე, ზუსტად იგივე პასუხს გავცემ ჩემს პირად მოძღვარსაც და სხვა სასულიერო პირებსაც, რა პასუხსაც გავცემ ქუჩაში შემხვედრს, თუ ის კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით რაღაცას მთხოვს. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს სასულიერო პირის ზეგავლენით მოგინვეს გადაწყვეტილების მიღება თუ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირისგან“⁵

³ „ხდებოდა პროცესის ხელოვნური დისკრედიტაციის მცდელობა“ – თვითაცილების შემდეგ მოსამართლე მერაბ გაბინაშვილი პირველ განცხადებას აკეთებს“, 2019 წლის 22 ივნისი, ხელმისაწვდომია: <https://news.ge/2019/01/22/>.

⁴ „არის თუ არა მერაბ გაბინაშვილი საპატრიარქოსა და „ოცნების“ კანდიდატი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე?“, 2015 წლის 11 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/opinion/38593/>.

⁵ „არის თუ არა მერაბ გაბინაშვილი საპატრიარქოსა და „ოცნების“ კანდიდატი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე?“, 2015 წლის 11 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/opinion/38593/>.

4. კანდიდატი მერაბ გაბინაშვილის გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში



საბჭოს წევრმა, ნაზი ჰანმეზაშვილმა, მერაბ გაბინაშვილს ჰკითხა: „ახლა მე რომ მოვიძიო, მოვძებნი სადმე თქვენს განსხვავებულ აზრს საბჭოს მთლიანი პოლიტიკა რაც იყო, ამასთან დაკავშირებით? ის, რაც საბჭოში ხდებოდა ან ახლა რაც ხდება? მაგალითად, რეზერვში მოსამართლეების ყოფნაზე, მოსამართლეთა დანიშვნაზე, სადმე რამე პატარა კომენტარი, სტატია, ნიუსი, ბლოგი თუ დაგიწერიათ ამაზე?“

კანდიდატის პასუხი:



მოსამართლეები ინიშნებოდნენ კანონის შესაბამისად. რა მომწონს და რა არ მომწონს მე კანონმდებლობაში, ჩემი საკუთარი გამოხატვის ფარგლებში, ყოველთვის გავაკეთებ ამაზე აქცენტს. ჩემი შინაგანი განწყობა უნდა მქონდეს ასეთი, უკანონოდ უნდა ვთვლიდე და არ ვთვლიდი ამას უკანონოდ. კოლეგიური ორგანოს დისკრეციას ვაფასებდი სწორად და ის არ საბუთდებოდა და იმ კოლეგიურ ორგანოში, მე, როგორც ერთი ფარულად ხმის მიმცემი დადებითის ან უარყოფითის, არავისთან არ ვარ ვალდებული, ამაზე ვინმეს ანგარიში ჩავაბარო“.

- კითხვაზე, რომელიც ეხებოდა სასამართლოს მიმართ კრიტიკის დასაშვებ ფარგლებს, კანდიდატმა აღნიშნა, რომ:



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, არსებობს „დასაშვები კომენტარის სტანდარტი“, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი ფარგლების გადაცილება შესაძლოა სხვა ღირებულებას აზიანებდეს. ამ ღირებულებაში იგულისხმება სწორედ სასამართლოს ავტორიტეტიც. მერაბ გაბინაშვილის მითითებით, მაგალითისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებებში მოცემულია ტერმინი „ფსევდო სასამართლო პროცესები“, ან „პარალელური პროცესები.“ მისი აღნიშვნით, მართალია, მედია საშუალებებს სწორედ ის ფუნქცია აქვთ, რომ საზოგადოებას მიანოდონ ინფორმაცია, თუმცა იქამდე არ უნდა მივიდნენ, რომ ფაქტობრივად მიმდინარეობდეს პარალელური პროცესები, რადგან ეს შესაძლოა საფრთხის შემცველი იყოს სასამართლო გადანყვეტილებების აღქმის ნაწილში“.



საბჭოს წევრმა, ნაზი ჰანმეზაშვილმა, მოსამართლე გაბინაშვილს ჰკითხა: „გაეცანით გუშინ გამოტანილ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას რუსთავი 2-ის საქმეზე? მოსამართლესთან მიმართებაში თუ წაიკითხეთ?“

კანდიდატის პასუხი:



მე მინდა მოვაცილოთ ნებისმიერი სათაური ასე ვთქვათ ვის ეხება ეს გადანყვეტილება რუსთავი 2 იქნება ეს სხვა ტელევიზია, კონკრეტული პირი თუ ასე შემდეგ, მე უბრალოდ მინდა ერთი ფაქტი აღვნიშნო, რომ ყველა ის გადანყვეტილება, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იტყვის, რომ სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დაცვით არის განხილული, ჩემთვის აბსოლუტურად მისაღები იქნება გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლო ხელისუფლების პრესტიჟია აი ასეთი დიდი ტესტი გაიაროს“.



ნაზი ჰანმეზაშვილმა კანდიდატს მიმართა: „ლეგან მურუსიძემ განაცხადა გასაუბრებაზე, რომ იგი არის სასამართლოს ლიდერი, თქვენ გაქვთ მასთან მუშაობის მეტი გამოდილება და მაინტერესებს თქვენი აღქმა“.

კანდიდატის პასუხი:

”

2013 წელს, სასამართლო იდგა ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე, სასამართლო უნდა მისცემოდა თვითგამორკვევას, რათა ხელისუფლების ცვლილებით გამოწვეული გამოწვევებისთვის (რაც ძირითადად ყველა ქვეყანაში ხდება) ადეკვატურად გაეცა პასუხი. რადგანაც ლევან მურუსიძე იყო ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი ამ გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლის, ის ჩანდა ყველაზე მეტად, მას გაუჩნდა ნდობა და გაუჩნდა ძალიან მაღალი ავტორიტეტი სასამართლო ხელისუფლების შიგნით მოსამართლეებს შორის. და სწორედ ამ დროს ამ პროცესის ლიდერად ჩამოყალიბდა“.



ნანა ჰანეზაშვილმა კანდიდატს, ასევე ჰკითხა: „რამდენიმე ხნის წინ გავიდა ასეთი სიუჟეტი თქვენი ყოფილი თავმჯდომარის შესახებ, ეს იყო ვალერი ცერცვაძე, სადაც სიუჟეტში ძალიან კარგად ჩანს, რომ მას სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით ჰქონდა მიმოწერა თავის ბიზნესთან მიმართებაში. სწორად მიგაჩნიათ თუ არა, რომ მოსამართლემ თავისი ბიზნესისთვის, კერძო საქმისთვის, კერძო საკითხების მოსაგვარებლად, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს ბიზნესს, გამოიყენოს სამსახურებრივი მეილი? ნახეთ თუ არა სიუჟეტი და რა განცდა დაგეუფლათ თქვენ მაშინ“?

კანდიდატის პასუხი:

”

ეს საკითხი რამდენადაც მახსოვს იყო დისციპლინური თემის განხილვის საგანი, ეს არის დახურულ ფორმატში და ამის გასაჯაროებას მე ვერ შევუდგები, მითუმეტეს, როგორც საბჭოს მაშინდელი წევრი. ბანგალორის პრინციპებიდან გამომდინარე, არანაირი უფლება არ მაქვს არც მოქმედ და არც ყოფილ მოსამართლეზე, მის ქმედებებზე გავაკეთო შეფასება“.

- საქართველოს კონსტიტუციაში ქორწინებასთან დაკავშირებული ჩანაწერის შესახებ დასმულ შეკითხვაზე, კანდიდატმა შემდეგი პასუხი გასცა:

”

ქორწინება ეს არის ქალისა და მამაკაცის ერთობლივი ცხოვრება, რომელიც კონსტიტუციაშია ჩანერილი, აქ სხვა აზრი და სხვა პოლიტიკური არჩევანი ხელისუფლებას და საკანონმდებლო ორგანოს არ გაუკეთებია. რა თქმა უნდა, ქალიცა და მამაკაციც თანაბარი უფლებებით სარგებლობენ“.

- შეკითხვაზე: „აქციები რომ მიმდინარეობს „არა ოკუპაციას“, თქვენი აზრით, მოსამართლეს შეუძლია წავიდეს ამ აქციაზე?“

კანდიდატის პასუხი:

”

არის ძალიან მაღალი ღირებულებები, რომელთა აღიარებაც მოსამართლეს არ უნდა ეშინოდეს და როდესაც საქმე გვაქვს ისეთ ფაქტთან, რომელიც გულის და სულის სიღრმემდე შემძვრელია და როდესაც შენი ქვეყნის 20% ოკუპირებულია და ეს არის აღიარებული ფაქტი, არსად არ მოვერიდები მე ამის თქმას. ეს არანაირად არ მიზღუდავს მე ჩემს სამსახურებრივ დამოკიდებულებებს“.

- კითხვაზე „სამართლებრივი პოზიტივიზმი“ – თუ გაგიგიათ ესეთი ცნება?“, კანდიდატმა განაცხადა, რომ:

”


დიახ, მე აღვიქვამ როგორც სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას იყოს პოზიტიური კანონმდებელი. ეს არის ძირითადი პრინციპი და ვფიქრობ, რომ სამართლის პოზიტივიზმი თავის თავში უნდა გულისხმობდეს მის კანონიერებასაც და სამართლიანობასაც“.⁶

⁶ „პოზიტივიზმი გულისხმობს თეორიას, რომლის მიხედვითაც, კანონები და მათი მოქმედება ვალიდურია იმის გამო, რომ ისინი მიღებულია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოების მიერ და არა მათი შინაარსის მორალურ დანაწესებთან შესაბამისობის გამო.“ განმარტება ოქსფორდის ლექსიკონის შესაბამისად, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Zzp5FB>.

6.


კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. ქონება (უძრავი/მოძრავი)



2. ფინანსები


- 2012-2018 წლებში მერაბ გაბინაშვილს თბილისის სააპელაციო სასამართლოში სამოსამართლო საქმიანობის სანაცვლოდ 570 379 ლარი აქვს მიღებული. მისი ყოველწლიური საშუალო შემოსავალი 81 ათასი ლარი იყო, თუმცა 2015 წელს ყველაზე მაღალი ანაზღაურება უფიქსირდება და მიღებული თანხა 95 ათას ლარზე მეტს შეადგენს. მერაბ გაბინაშვილმა 2017 წელს \$60,000 სესხი აიღო და დუშეთში სახლის შეძენას მოახმარა.



მისი მეუღლე შპს „სილქნეთშია“ დასაქმებული და 2018 წლის მდგომარეობით ყოველწლიური ანაზღაურება 12,000 ლარს შეადგენს. ეკა მელქაძის საკუთრებაშია ავტომობილი „ნისანი“, რომელიც 2018 წელს \$7,000 შეიძინა.



2009-2015 წლის მდგომარეობით, მერაბ გაბინაშვილის საკუთრებაში იყო მიწის ნაკვეთი კასპში, საერთო ფართობით 2100 კვ.მ. თუმცა, შემდგომ დეკლარაციებში აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ყოველგვარი დასაბუთებისა და კონკრეტული მონაცემების გარეშე იკარგება.





ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე
რედაქტორები: დავით კაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბუსიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორუონიას, ლაშა ჯუღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს,
თეონა ბაბუციძეს, სათია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას

მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მიერ